# ნიანგი

22
1981
ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ფირცხალავასი



— არ გეწყინოს, უფროსოჯან! მაგ ბოლო ჭიქას ველარ დავლევ!..

# გოლი — საკუთარ კარში!..

**წელს** ნამდვილი ომი ჰქონდათ ქართველ მევენახეებს! — ეომებოდნენ სტიქიას! უამინდობა ყიზილბაშებივით მოადგა ვენახებს და განადგურებას უქადდა! ქუდზე კაცი! — ასე მოითხოვა საქმემ. ომისათვის იარაღი იყო საჭირო, ცარიელი ხელებით ვინ რას გახდებოდა?! და, ჰა, დადგა იარაღის გამოცდის დროც. იქ, სადაც მექანიზაციამ სასპარეზოდ მხრები ვერ გაშალა, მამაპაპური, ზურგზე მოსაკიდებელი შესაწამლი აპარატი აამოქმედეს და... ვაი, რომ უმტყუნათ იარაღმა!

რეზინის თავსახური ჰერმეტულად ვერ კეტავს ბაკს. ამას მოჰყვა ის, რომ ნაწილი შესაწამლი ხსნარისა ვაზს ერგო და არგო, ნაწილი კი ვაზის მომვლელს ერგო, მაგრამ არ არგო, შაბიამნისა და კირის ხსნარმა სხეული და სული მოუწამლა მევენახეს!.. თუ ამ დიდ შრომას ომს შევადარებთ, — ეს უკან დაბრუნებულ ტყვიას ჰგავს, ხოლო თუ სპორტს, — საკუთარ კარში გატანილ გოლს!

ახლა მომჭირნე მეურნის თვალით შევხედოთ ვენახის შესაწამლ აპარატს. აბა, ვინ აღრიცხავს, რამდენი შაბიამანი და კირი გადაიყარა ფუჭად?! ამის შესახებ დაახლოებით წარმოდგენას შეგვიქმნის ამ აპარატის რაოდენობა —მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში გამოუშვეს ას ორმოცდაათი ათას ცალამდე შაბიამნისა და კირის „გადამყრელი" აპარატი!

**თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობა (დირექტორი ჯ. ბასანიძე)** — შეგვედავება: განა ეს ქარხნის მიზეზითაა?! ასეა ტექნიკურ პირობებში! ჩვენც ვიცით, რომ არ ვარგაო!

მაშ, ახლა ვნახოთ, რა გულისყურსა და ზრუნვას იჩენენ ამ მეტად საჭირო სამეურნეო მნიშვნელობის საგნის დასამზადებლად:

აპარატის კორპუსის ზედა და ქვედა ნაწილები ცუდადაა შედუღებული, არის მექანიკური დაზიანებები, უხარისხოდაა შეღებილი ძირი, კაპრონის დეტალები არ არის გასუფთავებული ფხაურებისაგან, შლანგის ონკანი ვერ უზრუნველყოფს ხსნარის გამდინარობას (სულ რომ ონკანიდან გავიდეს, რაღა დაიღვაროს?) და სხვადასხვა.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველთაგანია... წყლის მომჭირნეობით ხარჯვაში. შაბიამნის ხსნარის გაუთვალისწინებელ დანაკარგებს იგი სუფთა წყლის დაზოგვით აბალანსებს. აქ გამოშვებული სარწყავის ნასვრეტების დიდი ნაწილი ისეა დახშული საღებავით, რომ მორწყვისას წყალი ძლივს მოწანწკარებს!..

რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა პროდუქციის დამზადებისათვის წარმოებას ეკუთვნის, ამიტომაც ასეთივე „გულისყური" და „ზრუნვა" დამღად აზის № 2 მექანიკური ქარხნის მიერ გამოშვებულ ფართო მოხმარების სხვა საგნებსაც.

●

თუ ვინმეს სურს საკუთარი ავტომანქანა უვნებლად დაიგულოს და აარიდოს იგი გამტაცებლებს, ვურჩევთ შეიძინოს თბილისის **№ 3 მექანიკური ქარხნის (დირექტორი ვ. ჩხიკვაძე)** მიერ გამოშვებული მანქანის საკეტი. ვიძლევით ასპროცენტიან გარანტიას, რომ მას ვერავინ გააღებს, მათ შორის... პატრონიც კი! ამასთან დაკავშირებით, საამქროს უფროსმა **სერგო კუჭავამ** ერთი თავშესაქცევი ამბავიც გაიხსენა: ერთი მანდილოსანი, თურმე, მთელი დღე ეწვალა და ვერა და ვერ გააღო გაჯიუტებული გასაღები, უბანში შემჩნეული მანქანის ქურდებისთვისაც მიუმართავს თხოვნით, მათაც არ დაუზოგავთ თავიანთი „პროფესიონალიზმი", მაგრამ თავი მოჭრიათ უგასაღებოდ მანქანის კარის გამღებებს! ბოლოს, მანქანის პატრონს №3 მექანიკური ქარხნისათვის მიუმართავს.

კითხვა ველარ გავუბედეთ პატივცემულ სერგოს, აქ შეძლეს თუ არა მაინც გაღება, არც თავად უთქვამს ამის შესახებ არაფერი.

ეს ქარხანა კარის ცხრამანეთიან საკეტსაც უშვებს, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ საკეტში სახელური არ შედის, ან თუ შედის, დიდის ვაივაგლახით.

●

ყველასათვის ცნობილია, რომ წერაქვი მიწის სათხრელად გამოიყენება, რისთვისაც წამახვილებული ნაწილი მოპირული უნდა იყოს, მაგრამ, რატომღაც, ეს დაავიწყდათ თბილისის **№ 1 მექანიკური ქარხნის** მუშაკებს, ხოლო მათი დამზადებული ძალაყინი მრუდეა და საღებავიც კორძებად ადევს. რაც შეეხება ბარს — თერმული დაუმუშავებლობის გამო — პირველი ხმარებისთანავე ილუნება!.. ასე რომ, პირი გამოუპირავი აქვს თუ არა, აღარა აქვს მნიშვნელობა (ისე კი, გამოუპირავია!). ეტყობა, სათამაშოდ გამოუშვეს, თორემ სამუშაოდ რომ არ გამოდგებოდა, ამას წუნმდებელი, რა თქმა უნდა, ადვილად დაადგენდა.

●

სათამაშოების ხსენებამ მოიტანა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ **სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარული"**, რომელიც დაახლოებით ასამდე სახის სათამაშოს უშვებს, არ უშვებს... თოჯინებს! გინდა დაიჯერეთ, გინდა — არა! სამაგიეროდ, **ცხინვალის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოო წამოწყება** ამზადებს პლასტმასის ბურთებს, რომელიც არც ლამაზია, არც ხარისხიანი და არც არაფრად ვარგა, მაგრამ მაინც გამოდის! ესეც, გინდა დაიჯერეთ, გინდა— არა — არ მოსწონს ვაჭრობის ინსპექციას, არ მოსწონს კულტსამეურნეო ბაზას და, რაც მთავარია, არ მოსწონს თვით ამ საწარმოს დირექტორს **გ. შოვლოხოვს**. არც მათ მიერ დამზადებული მანეთად და 58 კაპიკად ღირებული პოლიეთილენის სუფრაა მოსაწონი.

ამას, მართალია, ვერ იტყვი **ქუთაისის ლითოფონის ქარხნის** მიერ დამზადებულ სარეცხ ფხვნილზე — „თეთრა-მა-26". იგი თვალისმომჭრელად ლამაზადაც არის შეფუთული, პეწიანად გამოიყურება, ყიდვაც მოუნდება კაცს, მაგრამ... იყიდის და, თუ ვინმეს ანალიზის გაკეთება შეუძლია, მაშინვე დარწმუნდება, რომ მისი შემადგენლობა არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს! ასე რომ, გარედან მტერს უბრმავებს თვალებს, შიგნიდან — მოყვარეს!..

**ს. სამსალაძე**



შეუწამლავი ვენახი და შეწამლული მევენახე

**უხარისხო საქონლის გამომშვებ საწარმოთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ!**

**ნიანგს გულწრფელად ერჩივნა, ამით დამთავრებულიყო პროდუქციის ხარისხზე უსიამოვნო საუბარი და მეტი საკბილო ველარ ეშოვა, მაგრამ, ალბათ, რუბრიკა-სათაური — „გოლი — საკუთარ კარში" — კვლავ და კვლავ არაერთხელ გამოჩნდება მის ფურცლებზე!**

**ნიანგი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთას მოეშველეთ, ბარელნო!

## მამუკა ხიმიკაურს — თბილისში

წერილს გიგზავნით შორიდან — შენ — ჩვენი სისხლის ნაწილო,
ბარში საკმაოდ ცნობილო, ჩვენთვის ჯერ ისევ ყმაწვილო!
აქ გაიმაგრე მუხლები, აქ დარჩა შენი ჭოჭინა!
მთის ქიუხებზე დარბოდი აფოფრებული ქოჩრითა!
მერე კი ჩვენი ხიმწუხრის ყველა წვრილმანი მოგვკითხე,
და ახლა, ყოველ ზაფხულში, წერილებს გზავნი სოჭიდან!
თუმცა შარშანწინ ამოხველ შენი მძღოლით და მანქანით,
მთელ ხევსურეთში ისმოდა მაგ შენი „ვოლგის“ ქაქანი!..
გვკოცნიდი, გვეფერებოდი, თან იგონებდი ბალღობას,
უბელო ცხენზე ჭირითსა და ჩვენს ძველებურ ხატობას!
მერე პურობაც იკადრე, ლუდი ინატრე ხევსურის! —
დედის რძესავით შეგერგო ჩვენებური ყანწით შესმული!
შატილის კოშკზე ახვედი, ხევს გადახედე ნისლიანს,
არდოტის წყაროს აქებდი, დილის ნამსა და მთის ნიავს!..
მერე კი ჩვენი სამწუხრის ყველა წვრილმანი მოგვკითხე,
თუ რა ფონდები გვაკლია, ან რა ლიმიტი მოგვიხსნეს!..
დაგვპირდი საქმის შესწავლას, ხელი დალალე წერითა
და გვინერგავდი იმედებს საქმის ცოდნით და რჩევითა!
მაგრამ გავიდა ჟამი და — გადაგვავიწყდა ნათქვამი,
ბარში თოვლივით აორთქლდა აქ ტკბილი ენით ნაქარგი,
მთას კი ისევე აწუხებს მოურჩენელი ტკივილი!..
(ცრემლის შეშრობას არა გთხოვთ, სად ხევსური და — ტირილი?!)

●

უკუნი დადნა, ხმელეთი მზის ათინათით განათდა,
ხალხის ნატვრამ და სურვილმა ფრთები შეისხა, გალაღდა!..
ბინდით ნაფერი სოფელი უფრო და უფრო ბრწყინდება,
სიდუხჭირე და სიბნელე სულსა ლაფავს და ცივდება!
დღეს აღარ გვყოფნის იგი, რაც წინათ გვეგონა სიზმარი!
ახეა, როცა იხსნება კაცის ოცნების ქიშკარი!
ათწლედის გახსნა გვჭირდება, სასტუმრო გვინდა სტუმრისთვის,
ბარისახოში ჩავდივართ ბამბა-ილდის გულისთვის!..
ბიჭები გამოვაგზავნეთ მანდ, ინსტიტუტში, ცნობილნი,
არ მიუღიათ — არ გაქვთო სახამსახურო პროფილი!..
მთაში პროფილი სად თქმულა? — კარტოფილს ვთესავთ ყველანი!
ცოდნის საზომად აქ, ჩვენში, კალამია და მელანი!
ბარი რომ გაგვახსენდება, მანდაურ ყოფას ვინატრით —
ათასნაირი სიკეთე, ათასნაირი თეატრი!..
კინოს და თეატრს არა გთხოვთ, არც კლუბი გვინდა ლალანა, —
ტელევიზორსა ვნატრულობთ, იმის ლოდინმა დაგვღალა!..
ქართულ სიმღერას მოვისმენთ, ქართული სიტყვა დაგვათრობს,
ბარის სიშორეს ცისფერი ეკრანის შუქი გააქრობს!..
გაზეთს ვერ ვიღებთ დროულად, ექიმს ვერ ნახავთ სტუმრადაც,
არც ჩვენი მაღაზიაა პირსავსედა და მხუქნადა!..
პურის საცხობი გვენატვრის, ცომში ჩვენ თვითონ ვწუწაობთ!..
დროც არ გვაქვს, — მწყემსი ძროხაში, ცხვარში მთელი დღე მუშაობს!..
დალაქი მოგვენატრებია, ხარაზზედაც ვართ ქესატად!
საყოფაცხოვრებო სამსახურს აქ ვერა ნახავთ ვერსადა!
მიტომაც კაცი მოაკლდა მუცოს და ბარისახოსა,
ბევრი ხევსური დასახლდა დედაქალაქის ახლოსა!
მთა რჩება კაცის გარეშე, იალაღები — უცხვაროდ!
სოფლები მიტოვებული და ეზო-კარი — უქალოდ!
მიზეზი ისევ ძველია — უგზობა, თანაც — სიმუნჯე!
ხევსურებს ველარ აჩერებს მარტო ამ მთების სილურჯე!

●

ახლა გავიგეთ, მთის საქმეს თურმე ადგება საშველი! —
მადლობა, დიდი მადლობა! — აბა, სხვა რა გვაქვს სათქმელი?!
ვინც ჩვენს ხვაშიადს გაიგებს, ვინც ჟანგს აგვაცლის გულიდან,
სამაგიეროს მივუზღავთ ერთგული სამსახურითა!
ერთია საქართველო! ვინ გაყო მისი მთა-ბარი?!
მთა იყო მამა-პაპათა ციხე-კოშკი და საფარი,
თუშ-ფშავ-ხევსური ყოველთვის თავს იწონებდა გარჯითა,
ურჯულოთ შემოსევისას ბარი მთამ გადაარჩინა!..
და, ახლა, როცა მთას უჭირს, გადმოგვეშველეთ, ბარელნო!
სიცილ-კისკისით ავავსოთ მთა-ხევსურეთის გარემო!
ჩამოდით, დაე, ვერტმფრენმა შატილზე გზები გაკვალოს,
დანაპირები, ნათქვამი, — დრო არის, — საქმემ ახაროს!
მოდი, ახსენი ურდული შენს დაობლებულ დედულეთს!
შვილთა ალერსი სჭირდება არწივთა მშობელ ხევსურეთს!

ვალერიან მამუკელაშვილი

გ. ფირცხალავასი



— ამ ძროხამ შიმშილობა გამოაცხადა — თქვენი დამზადებული თივა პირში არ ჩაიშვებაო!..

## დიეტა

— გაიგე, გოგმანა, შეუშვი მაგ თავში!.. არ არის ახლა კოხტაობისა და ტანის დაყენების დრო!.. მიხედე ბოჩიას!.. აჭამე რამე!.. სანამ დროა, ჭამოს, რამდენიც უნდა, თორემ მერე გვიანღა იქნება! — არ ცხრებოდა ჩამკვრივებულ-ჩაგვირისტებული ოჯახის უფროსი, თავის ჯიუტ მეგობარს დიდ, შავ თვალებს უბრიალებდა, თან მადიანად ჭამდა...

— დამანებე თავი! — ჯიუტობდა მისი მეორე ნახევარი, — შენ რა იცი შვილის მოვლისა?!. არც მე მარგებს გადამეტებული სიმსუქნე და არც მას! თავი დამანებე! რას მაძალებ, არ ვიცი?! — კაპასობდა და თან ჩრდილში ნებივრობდა...

— წინ იხედე, წინ! მოვა ზამთარი და გვიან იქნება! შენი უკულმართობით შვილს დამიჭლექებ, თორემ, ჯანდაბას შენი თავი! იცოდე, შარშანდელზე უარესი დღე მოგელის!.. რისი იმედი გაქვს, რისი?!. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, გეგმის მაგივრად, ყანწი უჭირავს ხელში! სული ამოგხდება, სული, ზამთარში! ტანი მაშინ დაიყენე, ზამთარი რომ მოვა და შიმშილით კუჭი რომ გაგიხმება!.. არ გახსოვს შარშანდელი?!. შენი მაშინდელი საცოდავი ზმუილი ახლაც მესმის! მიშველეო, რომ მევედრებოდი, დაგავიწყდა?!.

გოგმანამ თვალები ფართოდ გაალო, თავი წამოსწია, რავა არ მახსოვსო, გაიფიქრა, მმ!.. მმ!.. — ჩუმად დაიზმუვლა, შეშინებულმა გადახედა ბოჩიას, თავი დაუქნია, და აბიბინებულ ლორთქო ბალახს მიაშურეს...

ცისანა სიხარულიძე

## აუქციონი

სალონში დაგვიანებით შევედი. ვიღაცას ხელში ფეხსაცმელი ეჭირა და ხმამაღლა გაჰკიოდა:

— ორი თუმანი — ერთი! ორი თუმანი — ორი! ორი თუმანი...

— სამი თუმანი ჩემი! — უნებლიედ შევძახე.

— სამი თუმანი — ერთი! სამი თუმანი — ორი! სამი თუმანი — სამი!

— გაიყიდა! — აუქციონერი სიხარულისაგან აწვიხვინდა და ფაბრიკა „ისანის“ ფეხსაცმელი ხვევნა-კოცნით გადმომცა.

საპროტესტო რომ არაფერი მეთქვა, ყურში ჩამჩურჩულა:

— დამშვიდდით, რეკლამისათვის სამ თუმანს პრემიის სახით მიიღებთ!

მალხაზ ცოტაძე

ნახ. მ. აბაშიძისა



— სწორედ ამ კაცზე ყოფილა ნათქვამი, ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო!

# იყიდა... თავისივე ავტომანქანა!

**ალიაქოთი** დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი ს ცენტრიდან ხუთიოდე კილომეტრით დაშორებული გლდანის მასივის ერთ-ერთ ჩვენებურ სტილზე და ლაზათით აშენებულ, უამრავი ფერით აჭრელებული მრავალსართულიანი კორპუსის წინ დაიწყო, სადაც წინალამეს ნამდვილად იდგა ჩაკეტილ-ჩარაზული, ჯაჭვით დაბმული, დანაზოგით შეძენილი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 1 ტრესტის მუშის **ზაურ ალექსანდრეს ძე გელაშვილის** „ჟიგული-06“, რომელიც პატივცემულ ქურდებს გამსკდარი საპნის ბუშტივით გაექროთ.

გაფუჭდა კაზახი, ენა მუცელში ჩაუვარდა, შეშლილივით აფორიაქდა, ეცა ტყეს, ეცა ხრამს, ეცა ველმინდვრებს, მაგრამ — ფაფუ!.. იყო და არა იყო მანქანა მისი!..

გაშრა კაცი, ცხრაჯერ დანა გულში რომ ჩაგერტყათ, წვეთ სისხლს ვერ დაადენდით. იფორიაქა, იფორიაქა და, შუადღე იყო თუ შუადღეს გადაცილებული, გუდანაბადაკრული, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის **ტარიელ ხოკერაშვილის** კაბინეტის კარებს მიადგა. მიადგა და მოჰყვა, რომ არის პატიოსანი კაცი, მანქანა დაღვრილი ათი ფუთი ოფლის საფასურად შეიძინა, თავის ცხოვრებაში ჭიანჭველისთვისაც კი არ დაუდგამს ფეხი (ის კი დამალა, ხულიგნობისათვის სავირისაბანოდ რომ გაიხადა თავი!) და ასეთ უცოდველ არსებას ვიღაც მამაძაღლიშვილებმა უკანასკნელი იმედი ისე გამოაცალეს, ახალშეძენილი მანქანის ყურებით დატკბობაც კი არ აცალეს!..

თხუთმეტი დღე ცვეთდა რაიგანყოფილების წინ დაგებულ ასფალტს, მის დანახვაზე ოპერატიულ მუშაკებს გული მისდიოდათ და ნიტროგლიცერინით აბრუნებდნენ!..

მეთექვსმეტე დღეს აფორიაქებული კაცი სადღაც გაჰქრა.

შეეშინდათ ოპერატიულ მუშაკებს, თავი ხომ არ მოიკლა გელაშვილმაო და შინ ეწვივნენ. მკვდარი კი არა, ბარჩხალა მზესავით გაბადრული კაცი დაუხვდათ, სიტყვის დაძვრა არ აცალა მოსულებს და საფანტივით მიაყარა:

— ყოფილა ღმერთი, ბატონებო, ყოფილა! ნახეთ ჩემი მანქანა, არც ფერი დაკლებია და არც ხორცი! მოტორი ღუღუნებს, საბურავები სრიალებს, მაგნიტოფონი ჭიკჭიკებს!..

— რამდენი დაგიჯდათ ეს ჭიკჭიკი? — შეაპარეს კითხვა.

— რას ამბობთ, ბატონებო?! აგერ მე და ეგერ მოწმეები, დასაფიცი რა მაქვს, მანქანა ხელუხლებლად იდგა ქუჩაში! ნამდვილად ჩემი თვალებით ვიპოვე... ისე, რა მოსატანია, მაგრამ ბოდიში ქე უნდა მოვიხადო თქვენს წინაშე, თარჩია ცხენებივით რომ გარბენინეთ, მაგრამ რა არ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზე?!.

— გულზე ხელი დაიდე, რამდენად იყიდე შენივე მანქანა?!

დავარდა ფიცად. ფიცით მკვდრები საფლავში ცხრაჯერ გადააბრუნა, მერე ცოცხლებს მიწვდა. ფიცმა რომ ვერ გაჭრა, პირში მწარე წიწაკაგამოვლებულივით გაცხარდა, რწყილივით ახტა-დახტა, ბოლოს მუქარაზე გადავიდა, მე რომ არ მერბინა და არ მეპოვა, თქვენი იმედით წყალი წამიღებდაო! ის კი დამალა, შავ ბაზარში ვინმე „კუზიანი“ — ქურდობისთვის ნასამართლევი, უსაქმური ოხერ-მოხეტე რომ გაიცნო და, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, სამი ათას მანეთზე ძლივს რომ დაიყოლია, ნასესხ-ნახვეწარი ფულით ცხოვრების ხორცმეტებს ჯიბე რომ გამოუვსო!..

მხოლოდ მაშინ დაცხრა აშლილ-ალეწილი, როცა ოპერატიულმა მუშაკებმა **ტარიელ ხოკერაშვილმა** და **დავით კობერიძემ** მისივე მანქანის ქურდობაზე დაპატიმრებული **გივი მანაგაძისა** და **გრიგოლ მირზოევის** დაკითხვის ოქმები მაგიდაზე დაუწყვეს.

ოქმი ღაღადებდა: მანაგაძემ და მირზოევმა, წინასწარი შეთანხმებით, გამთენიისას, მოიპარეს ზაურ გელაშვილის მანქანა, მოხერხებულ ადგილას გადამალეს, ასევე მოხერხებულად ჩააწვეთეს მანქანის პატრონს, რომ საკუთრებას ხელუხლებელს დაუბრუნებდნენ თუ ცოტაოდენ, ასე, ოთხი ათას მანეთს გაიმეტებდა. შუამავლად „კუზიანი“ — **გ. გიორგაძე** უნდა ყოფილიყო, რომელიც გელაშვილს სულმოუთქმელად მოელოდა და როგორც კი გამოჩნდა, პირველ „იმედად მოევლინა“ მას და შედარებით იაფად აყიდვინა თავისივე ავტომანქანა!..

ხელის გამართვაც ამას ჰქვია!

**გრიგოლ გვაძაბია**




## „ნიანგის“ ინფორმაციები

**„კეთილმომწყობნი“**

(მცხეთა)

ხუთი წლის წინათ გათხარეს
აქ გამარჯვების ქუჩა!..
მას შემდეგ „კეთილმომწყობნი“
იმალებიან ურჩად!..

**მძინარე ქურდი**

(გარდაბნის რ-ნი, ხამგორი)

აფციაური თამაზი
არყით გამოთვრა არაზიად!..
შუაღამისას ფანჯრიდან
მაღაზიაში გადაძვრა,
ტახზე მოირგო შარვალი,
პერანგი!.. ღვინოც ბევრი სვა,
დახლზე წამოწვა, ჩასთვლიმა
და დაეძინა ნებისად!..

**მოსაცდელის ცდაში**

(ტყიბულის ზონა)

ბევრჯერ დაისვა საკითხი,
გამგებლებმა უნდა გაეგოთ —
ორპირ-სორხეთის შარაზე, —
რომ მოსაცდელი აეგოთ!
წვიმისგან მგზავრთა დაფარვა
დღემდე არავის უცდია! —
პატარებიც და დიდებიც
დგანან, მოსაცდელს უცდიან!

**მ ა ხ ე**

(ხამტრედია, № 2 ხამშენებლო ტრესტი)

„აგურით რა არ შენდება
და ჩვენც ავშენდეთ მისით!“ —
ორმა მძღოლ-ექსპედიტორმა
დადო ალთქმა და ფიცი!..
ობიექტს ზურგი აქციეს,
განა შიშით და ძრწოლვით? —
ქერძოდ გაყიდეს აგური —
სამი ათასი ცალი!..
წუხს ახალაძე ლევანი,
აწზით ხანოძე ამხელს:
„ამ დაწყევლილი აგურით
თურმე შენდება... მახეც!“

**„ხიკეთე“**

(თბილისი, ოქტომბრის ქუჩა, უნივერმაღის № 12 ფილიალი)

ჩაწერილი რომ არ იყო
თბილისს, — როგორც ჭერამს, —
ვინ მოაწყო, ნეტავ, ქალი
უფროს გამყიდველად?!
ვინ იკავდა, — ნოქარს ხელი
რომ არ ჰქონდა წმინდა?! —
ნივთს, ლირებულს ცამეტ თუმნად,
ოც თუმნად რომ ყიდდა?!
„მწყალობელმა“ თანამშრომელს
ის „სიკეთე“ არგო,
რომ გაუღო ციხის კარი
ლუდუშაურ მარგოს!..

**ჩამოხმა ავტობუსიდან**

(მაიაკოვსკის რ-ნი)

მგზავრს ლამბაშიძე ნუგზარს
ეცა, გალახა, ატირა!..
ვაჭარეს, ავტობუსიდან
ჩახტომა რომ დააპირა!..
„ნელა ჩადით!“ — ამწიელეს,
„არ წაიქცეთ!“ — დალოცვეს!
ავტობუსიდან ნუგზარი
კაი ოთხი წლით ჩამოსვეს!

**გაიოზ შავერზაშვილი**



# ვაი, სირცხვილო!

**ათასგვარი** ხ ე რ ხ ი და საშუალება არსებობს ჭეშმარიტების დასადგენად — გაკონტროლება, გასინჯვა, გაანალიზება, შემოწმება, ცდა, შეჯერება, დაეჭვებაც კი, თქვენ წარმოიდგინეთ! ზოგი მათგანი ღრმა მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება, ზოგიც ცხოვრებისეული პრაქტიკით არის შექმნილ-გამომუშავებულ - განმტკიცებული.

მაგრამ, ეჰ, რა ტყუილად ვიკლავთ ხოლმე ხანდახან თავს?! — რად გვინდოდა ამდენი ჯახირი და დავიდარაბა, როცა არსებობს ჭეშმარიტების დადგენის სულ იოლი, ოფლმოუდენელი ფორმა. მის ცოდნას არც საშუალო სკოლის დამთავრება სჭირდება და არც უმაღლესი სასწავლებლისა, არც ლაბორატორია და არც აკადემია!..

მაინც რა არისო, იკითხავთ!.

ა, ბატონო, ყველაფერს გიამბობთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ: **ქუთაისში, გრიშაშვილის ქუჩაზე**, არის ერთი პატარა **სავაჭრო, ზოომაღაზიას** რომ ეძახიან. ყიდიან აქ მგალობელ ფრინველებს, ფერად-ფერად თევზებს, გალიებს, აკვარიუმებს... არ ელევა მომხმარებელი ფაუნის ამ პატარა მიკროსამყაროს.

ერთ დღეს მავანმა და მავანმა მოქალაქემ შეიძინა ორი იადონი, გალიითურთ. გადაიხადა 48 მანეთი. უთხრეს, ეს ჩიტები მამლებია და 21-21 მანეთი ღირს, გალია — 6 მანეთიო (დედალი კი — გალიის ფასი — 6 მანეთი ღირებულა!).

სად იყო, სად არა, ადგილზე სახალხო კონტროლის სარეიდო ბრიგადა გაჩნდა. და, აი, ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთმა ზემოხსენებულმა ფორმამ იჩინა თავი — დ ა ე ჭ ვ ე ბ ა მ!

— საიდან დაგვიმტკიცებთ, რომ ეს ჩიტები მამლებია?! — დაინტერესდნენ ბრიგადის წევრები (დაეჭვების მიზეზი — 21 მანეთი და 6 მანეთი).

— თქვე მამაცხონებულებო, ეს თუ აღარ ვიცი, მაშინ რაღა მცოდნია?!. ა, ბატონო, ზედდებულიც, დედალი სულ არ მაწერია! — საყვედურით თქვა მაღაზიის გამგე-გამყიდველმა **ბ. გურეშიძემ**.

— არ გვჯერა! დაგვიმტკიცე! — არ მოეშვნენ შემმოწმებლები.

— ჩემი თუ არ გჯერათ, მაშინ მაღაზიის ყოფილ მუშაკს **ვ. ხატისკაცს** ჰკითხეთ, ცაში გაფრენილ მიმინოს ატყობს, მამალია თუ დედალი. თავის სიცოცხლეში ჩიტების გაყიდვის მეტი არაფერი უკეთებია და იგი მაინც არ შეცდება! — თავის აზრზე მტკიცედ იდგა **ბ. გურეშიძე**.

უხმეს ჩიტების მესაიდუმლეს!.. **ვ. ხატისკაცმა** ხატზე დაიფიცა, ეს იადონები მამლებიაო.

— თქვენ პირი გაქვთ შეკრული! — აყვირდნენ სახალხო კონტროლის წარმომადგენლები, სასწრაფოდ შექმნეს კომპეტენტური კომისია ჩიტების სქესის დასადგენად (!!!).

კომისიას სათავეში ჩაუყენეს ქუთაისის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის დირექტორი **ვ. ბერიძე**. კომისიაში შევიდნენ ვეტლაბორატორიის ვეტექიმები, ქალაქის ვეტერინარული სადგურის ექიმები, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის ვეტსამკურნალოს თანამშრომლები — სულ რვა კაცი! აბა, რა ექნათ? მეტი სპეციალისტი ქალაქში ველარ ნახეს!..

ხანგრძლივი და ბრძნული სჯაბაასის შემდეგ კომისიამ საბოლოოდ დაადგინა:

— ჩიტები უნდა გავფატროთ, სხვანაირად მათ სქესს ვერ დავადგენთ!

კაცი არ აღმოჩნდა, რომ ამ ულმობელი განაჩენის წინააღმდეგ ხმა აღემაღლებინა.

განაჩენი აღსრულდა!..

[illegible]

ცების შეძახილი:

— ურაა! ჩვენ გავიმარჯვეთ!

აღარაფერს ვამბობთ ამ პატარა ტრაგედიის პერიპეტიებზე, იმ ადამიანების უსულგულობასა და უვიცობაზე, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა საცოდავ ჩიტუნიებს, თავისი „კომპეტენტურობა“ რომ დაემტკიცებინა!

საკითხავი სხვა რამ არის: ამ მეთოდით ჩიტების სქესის დადგენას რად უნდოდა ვეტერინარული სამსახურის ასეთი აღიარებული „სპეციალისტები“?

ბარაქალა თქვენ, ჭეშმარიტების მაძიებელნო! საწუხარ-სატირალი კია, რომ თქვენი ეს გამოცდილება საქვეყნოდ არ არის დანერგილი!

**ტარიელ ჩარქსელიანი,**
„ნიანგის“ კორესპონდენტი.

**P. S.** ნ ი ა ნ გ ს, საერთოდ, ჩიტები ძალიან უყვარს (თან, განა მარტო ისინი, კბილებს რომ უსუფთავებენ), ამიტომ ცნობის წადილმა ჟურნალ „ოგონიოკში“ (№ 40) ასეთ რამეს მიაკვლევინა. თურმე, მგალობელ (ბაძია) ფრინველებს შორის სქესის გასარკვევად ჩიტუნა კი არ უნდა გაფატრო, არამედ — მოუსმინო, რადგან „მამალი ბგერების საოცრად დიდ დიაპაზონს ფლობს, რაც მას ეხმარება გამოირჩეოდეს სხვა ფრთოსნებში და თავი მოაწონოს დედალს“.

ვინ იცის, საცოდავ ჩიტუნებს მართლაც შეეძლოთ დაემტკიცებინათ თავიანთი დედალ-მამლობა, მაგრამ ვინ აცალა — გაფატრული არც მამალი გალობს და არც დედალი.

ხშირად ვაწყდებით ინტენსიურ ქაღალდმთხზველობა და გაფაკიცებულ თათბირობანას.

ნახ. მ. აბაშიძისა



— რა გატირებს, შე კაცო?! ვაჟკაცი არა ხარ?!
— რა და, ხარისხიანი პროდუქცია თუ გინდათ, ნუ მაცდენთ ამდენ უხარისხო თათბირზე!..

## სასარგებლო რჩევები

● **ორიგინალობაზე** თ ა ვ ს ნუ დადებ! ჩვენს დროში ეგ არაორიგინალურია!

● **უფროსმა** თ უ შეგაქო, — შორს წახვალო, გაფრთხილდი! იქნებ, თავიდან მოშორებას გიპირებს?!

● **შეცდომის** დ ა შ ვ ე ბ ა თუ მარტოს შეგიძლია, სხვას ნუ დაიხმარებ!

● **ტვინი** ა რ ი ს თოფი, ენა — მისი სასხლეტი, სიტყვა კი — ტყვია! ერიდე უმიზნო სროლას!

● **დროის** მ ო კ ვ ლ ა სახლშიაც შეიძლება, ამისთვის სანადიროდ წასვლა არ არის საჭირო!

● **თუ** ს ა ი თ ა ც გაიქეცი და იქით წაიქეცი, სირბილს თავი დაანებე!

● **მამული** რ ო მ შვილად გაღიარებს, მერე ჩათვალე თავი მამულიშვილად!

● **ორ** კ უ რ დ ღ ე ლ ს ადვილად დაიჭერ, მეორის დაჭერას თუ მოადგილეს დაავალებ!

**გიგლა ბაქტაძე**

# ჩვენი სტუმარია „ВЕЧЕРНЯЯ ОДЕССА“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲒᲝᲠ ᲡᲘᲮᲝᲕᲘᲙᲘ

## ᲚᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲠᲔᲑᲘ

ღორი ესტუმრა ცხვრებს და
ცხვრებმაც გაშალეს სუფრა —
ხასხასა მწვანე მოლი!
ჰოდა, წამოწვა ღორი!..
და რაც მიართვეს ცხვრებმა,
სტუმარმა უხვად თქვლიფა.
მერე თქვა ხვნეშით ღორმა:
—„სანამდე უნდა ვთქვლიფო?
აწ დასვენება მინდა!
მიჩვენეთ, სად გაქვთ ტლაპო!
როგორ?! არა გაქვთ ტლაპო?!
მაშ, სად ისვენებთ, რაში?!
ღმერთო, საიდან მოვხვდი
ამ უკულტურო ხალხში!“
ბევრი იხვნეშა ბრაზით,
წყენას არ უჩნდა ბოლო!...
როცა წავიდა, მხოლოდ
მაშინღა ნახეს ცხვრებმა,
სადაც სტუმარი იწვა...
გაჩენილიყო ტ ლ ა პ ო!



ᲡᲘᲛᲝᲜ ᲚᲘᲕᲨᲘᲜᲘ

## ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪᲓᲐ, ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ?!

**ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ** ჯ ი ხ უ რ თ ა ნ არც ისე დიდი რიგი იდგა. ყველა თავისას თხოულობდა:

— „ბელომორი“ და ასანთი!

— მე „ოპალი“! არ არის? მაშინ „ტუ“!

— სანთებელას ქვა, სამი ცალი!

— რა შავ ქვად გინდათ?! — გაოცდა გამყიდველი.

— „პრიმა“!

სათვალიანმა კაცმა კი გამყიდველს სთხოვა:

— გეთაყვა, თუ შეიძლება, ორმოცი ზომა კედები, მუქი შავი ფერისა!..

— ხუმარა ყოფილხარ! კარგია! ისე, ბოლოს და ბოლოს, რა გნებავთ? — აღელვება შეეტყო გამყიდველს.

— გასაგებად გითხარით, კედები! — ყოველგვარი აღელვების გარეშე მიუგო სათვალიანმა, მერე, მცირე შეყოვნების შემდეგ, გააგრძელა: — რომ იცოდეთ, მოკლეყელიან კედებზეც არ ვიტყოდი უარს!

— წადი, ძმაო, გამოიძინე! — გაცხარდა გამყიდველი.

— რატომ აფერხებთ რიგს?! ეს ხომ თამბაქოს ჯიხურია?! — იყვირა ვიღაცამ, — რა შუაშია კედები?!

— რა შუაშია?! — გაოცდა სათვალიანი და გააგრძელა: — მომისმინეთ, მე ელექტრონიკის ინჟინერი გახლავართ და იმის მოწმე ვიყავი, ჩვენთან ელექტრონული მართვის ოთახიდან როგორ ყიდდნენ კომბოსტოსა და კარტოფილს! ჰოდა, რა მოხდა, თუ აქ, თამბაქოს ჯიხურში, კედების შეძენა მოვინდომე?!



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲣᲚᲘᲩᲘ

## Ფ Რ Ა Ზ Ე Ბ Ი

● **ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ** კ ა რ გ ი ა, რაც კარგად მთავრდება, რაც კარგად იწყება და, საერთოდ, კარგად მიმდინარეობს!..

● **ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘ** ი ს კ ი არ არის, ვინც საზრდოს პოულობს, არამედ ის, ვისაც თვითონ ჭამენ.

● **ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ** თ უ კარგად მუშაობს, გეჩვენება, რომ ცხოვრებაშიც არ ხდება შეფერხებანი.

● **ᲛᲘᲖᲐᲜᲗᲠᲝᲞᲘ** მ ხ ო ლ ო დ ადამიანებს შორის გვხვდება.

● **ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ** მ ა რ თ ა ლ ი დოკუმენტი დაბადების მოწმობაა.

● **ᲨᲠᲝᲛᲐᲛ** ა დ ა მ ი ა ნ ი სიზიფედ აქცია.

● **ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔ** ი ს ე, რომ შენი მოღვაწეობა ნეკროლოგმა გაამართლოს.

● **ᲑᲠᲫᲔᲜᲘ** რ ო მ გახდე, მუნჯი უნდა იყო.

● **ᲦᲛᲔᲠᲗᲘ** რ ო მ მართლა არსებობდეს, ისიც ურწმუნო იქნებოდა.



ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ᲞᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲔ ᲨᲐᲑᲐᲢᲘᲜᲘ

## ᲮᲐᲠᲑᲘ ᲒᲜᲐᲢᲘ

ეს იყო არცთუ
დიდი ხნის წინათ:
იძახდა გნატი —
„მომეცით ბ ი ნ ა!“
ბინა მიიღო და გააქანა
კვლავ განცხადება:
„მინდა მ ა ნ ქ ა ნ ა!“
ვერ გაძლა გნატი ხ ვ ა ვ ი თ,
ბ ა რ ა ქ ი თ,
უნდა გ ა რ ა ჟ ი და ა გ ა რ ა კ ი!
უნდა ს ა ხ ე ლ ი,
უნდა დ ი დ ე ბ ა!
არ სურს, იცხოვროს მამაპაპურად!
შეუსვენებლად შინ ეზიდება
ბ ე ნ ზ ი ნ ს,
ს ა ც ხ ე ბ ე ლ ს,
კ ა ბ ე ლ ს,
ს ა ბ უ რ ა ვ ს!..

თუ გაღებული შენიშნა კარი, —
სასადილოდან იპარავს მ ა რ ი ლ ს.
არ ეგულება თავისი ტოლი,
ნაცნობს თუ უცნობს დასცქერის
მაღლით!

გამოულევლად უწყვია თაღლითს
ო ქ რ ო,
ზ უ რ მ უ ხ ტ ი,
ა ლ მ ა ს ი,
ბ რ ო ლ ი!..
ცხვირაბზეკილი მიმოდის გნატი,
ყველგან, ყველასგან მოითხოვს
პატივს.

თუ მამულს მისი დაჭირდა ხელი, —
სტკივა მუცელი, ფეხები, წელი!..

თარგმნეს ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲕᲐᲟᲐ ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ და ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲛ

თბილისის ქუჩებში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ჯურის გადამყიდველებს, რომლებიც სახელს უტეხენ დედაქალაქს.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— როდემდე უნდა იწანწალოს ამ ხალხმა ქუჩა-ქუჩა?! ერთი პატარა სავაჭრო ჯიხური მაინც გაეხსნათ მაგ საწყლებისთვის!

## სამსახეობა არაკაცისა

I

სხვის გაჭირვებას არ აგდებს ჩირად!
სხვისი ტკივილი არაფრად უღირს!
ბავშვის ტირილზე გულმშვიდად ხძინავს!
ქალთა ქვითინზე დაიწყებს ღიღინს!

თუ ვინმე შეცდა და შველა სთხოვა, —
ავი ღიმილი გაუპობს ბაგეს!
არ აბედნებს ჭაბუკს და მხცოვანს
და ტყუილების ცაწეებს აგებს!..

და გულებს ავსებს ცრუ იმედებით!
დაპირებებში გახლავთ თამამი!
ეკლიანია მისი ედემი!
უნაყოფოა მისი თალარი!

II

კიბეზე ჯიქურ აირბენს ხშირად!
თავისი თავის ჩრდილსაც შეეხარის!
ხალხის' გულში კი ვერ ჰპოვა ბინა,
ვერ გადიარა თუთრი ზღვარი!

ელაქუცება ჯიბემსუქანთა, —
გაქნილობაში უბადლო მუდამ, —'
რის თავგზას უბნევს მდიდრის მუქარა,
ღარიბებს შხამით უბრუნებს ზურგს!

III

ის არ კითხულობს, არ ესმის ბევრის!
არ შეუძლია გულში ჩახედვა,
და თუ ვილაცას მწლე სიტყვით შველის,
იქვე ვილაცას უგებს მახესაც!..

მეხამის მიმართ სიჩუმეს არჩევს!
ყურს უხირცხვილოდ იყრუებს შურით!
დავიწყებული არწივის მართვე
დარდს იმკის, თუმცა არა აქვს წუნი!

ხულს ვერ მიჭყიდის ეშმაკს ვერასგზით, —
ეს ხერხი მისთვის არის ნაცნობი!
დაე, შეაცვდეს ჯაჭვის პერანგი
გამყინვარებას არაკაცობის!..

და ოინბაზიც იბრმავებს თვალებს!
წამწამებიდან მოეყვება ცრიხი!
ერთის კარებს უჯობს მეორის მდარე!
ჯერ კიდევ ნიღბობს ნიღაბი მისი!

გიორგი გიგაური

# მიკროკონკურსის შედეგები

**დაინტერესებულ** მკითხველს, ალბათ ახსოვს, რომ ამ წლის №4 „ნიანგში“ გამოქვეყნებული „უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები“ ასე მთავრდებოდა: **„როგორც პუბლიკაციის ავტორმა განაცხადა, ბლოკნოტში უცნობ ჟურნალისტს პასუხები არ უწერია... ამიტომ „ნიანგი“ აცხადებს კონკურსს აქ მოყვანილი ამოცანისა და კითხვების პასუხებზე. განსაკუთრებით სასურველია, რომ კონკურსში მონაწილეობდნენ ვაჭრობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების, სატრანსპორტო გაერთიანებისა და სხვა მომიჯნავე თუ მონათესავე ორგანიზაციების, უწყებებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები“.**

ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით **პირველი პრემია** არავის მინიჭებია. სხვათა შორის, არც მეორე და არც მესამე! წამახალისებელი პრემიით (2 ბოთლი კაიგაზიანი „ბორჯომი“) აღინიშნა თბილისელი **სერგო ბლიაძის** გამოხმაურება. უფრო დიდი პრემიაც ეკუთვნოდა პატ. სერგოს, რადგან მან ფაქტიურად ვაჭრობის სამინისტროსა და ენგურის ქაღალდკომბინატის მაგიერ გასცა ბავშვის კითხვებზე პასუხი:

**1. „დეიდა-გამყიდველს კარგად სცოდნია ფიზიკის კანონი, დილით, რადგან ცივა, 0,5-ლიტრიანი ბოთლი შეიკუმშა, დაპატარავდა და 10 კაპ. ამიტომაც გადაუხადა, შუადღისას დათბა, ბოთლი გაფართოვდა, გადიდდა და ფასიც მეტი გამოართვა. (აწი რაღას იზამს, ეს კი აღარ ვიცი, ბოთლის ფასი რაკილა დამრგვალდა).**

**2. ქავთარაძეებმა, ქათამაძეებმა, ქართველიშვილებმა, ქინქლაძეებმა, ქორიძეებმა, ქურდიანებმა, ქირიებმა და ქიქავებმა, აგრეთვე: ყიფიანებმა, ყიფშიძეებმა, ყარყარაშვილებმა და ყაფლანიშვილებმა გადაიკეთონ თავიანთი გვარები... კ ო პ ა ძ ე ე ბ ა დ; მოკლე, სხარტი გვარია და ასო K-ზე უამრავი დაეტევა ტელეფონის ნომრების ჩასაწერ ბლოკნოტში. ამასვე ვურჩევთ იმათ, ვისი გვარიც იწყება ძ-ზე, ღ-ზე, ფ-ზე, ჭ-ზე, წ-ზე, ჯ-ზე და ა. შ. (ამხ. გ. ზარნაძეს, ეტყობა, შრიფტის გამოცვლა იოლი საქმე ჰგონია!)“**

მიუხედავად იმისა, რომ № 4 მარშრუტის ავტობუსების არანორმალური მუშაობის შესახებ ორნაირი პასუხი მივიღეთ, პრემიით ვერც ერთი დაჯილდოვდა, ხოლო დაბეჭდვის რეკომენდაცია ორთავეს მიეცა.

1. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის პირველი მოადგილე **რ. მეცხოვრიშვილი: „№ 4 იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ აღნიშნული იყო, რომ დაკრძალვის დღეებში ზოგიერთ მარშრუტებზე** (სტილი სასტიკად დაცულია! — **ჟ ი უ რ ი**) **ადგილი აქვს ავტობუსების დაკლების შემთხვევებს, რაც სინამდვილეს შეეფერება.**

**გაცნობებთ, რომ ზემდგომი ორგანოების დავალებით თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება ჯერ კიდევ ასრულებს ისეთ დაკვეთებს, როგორიცაა საექსკურსიო, ყოველგვარი სიმპოზიუმების, ოლიმპიადების, დაკრძალვის და სხვადასხვა მომსახურებას. ასევე ფეხბურთისა და სხვა ღონისძიებების დროს გზების გადაკეტვას,** (კიდევ იღბალი, რომ ფეხბურთი სეზონური თამაშია! — **ჟ ი უ რ ი**).

**... ზემოაღნიშნული დავალების შესრულებისათვის ა/კ იძულებულია მოხსნას ავტობუსები მარშრუტებიდან და შეასრულოს დავალება. 1981 წელი, 15 აპრილი. № 17-10/1420“.**

2. თბილისის საავტობუსო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე **ჯ. ქადაგიშვილი:**

**„გაერთიანებამ განიხილა ჟურნალ „ნიანგის“ მეოთხე ნომერი, სადაც გაკრიტიკებული იყო ავტოკოლონა 26-56-ის №4 საავტობუსო სვლაგეზის მუშაობის საკითხი. ჟურნალში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. იყო შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ მარშრუტზე ნაცვლად ოთხისა, მუშაობდა 2-3 ავტობუსი, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სვლაგეზზე ჩართული (?) იყო მოძველებული ავტობუსები.**

**ამჟამად აღნიშნულ სვლაგეზზე ჩაერთო ახალი ავტობუსები და მდგომარეობა გამოსწორებულია“.** (დავნაძლევდეთ! — **ჟ ი უ რ ი**) **1981 წ. 19/V. № 08/619“.**

**რედაქციისაგან:** თუ ვინიცობაა, ენგურის ქაღალდკომბინატის მესვეურთ არ მოეწონებათ ს. ბლიაძის რჩევა და თვითონ ამჯობინებენ პასუხის გაცემას, თუმცაღა დაგვიანებით, პრემიისა უკვე რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოქვეყნებით აუცილებლად გამოვაქვეყნებთ!

გარდა ამისა, პუბლიკაციის ავტორი გულისტკივილით აცხადებს, რომ დღემდე ვერ მიაკვლია, თუ ვის შეეძლო მის სახელზე ასეთი შინაარსის დეპეშის გამოგზავნა: **„პერესტან ოგლაშატ ზაპისკი ზაპიატაია ატო პოლუჩიშ ვოსკლიცატელნი ზნაკ“.**

მომავალ შეხვედრამდე!

**გიზო ზარნაძე**

795 81
20.XII




ძია სემის სანთებელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 22 (1608) ნოემბერი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ჯაბუა ამირეჯიბი,
ნომადი ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუზალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
30.10. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
30.11. 81 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 2736. უე 08762
ტირაჟი 157.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «Н И А Н Г И»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137